ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3195212

ნომერი: AR1491127

თარიღი : 29.03.2017

გაცემის თარიღი : 06.04.2017

გაცნობის თარიღი : 06.04.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ვაჟა-ფშაველა , N 20 / ქალაქი თბილისი , გამზირი ვაჟა-ფშაველა , N20-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 25 , (ნაკვ. 10/017) / ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 25 , (ნაკვ. 10/018) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნათია გონაძე პ/ნ 01024061904
- თბილისი შ.ნუცუბიძის ქ. N 4 ბ. 24

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1491127 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.10.15.010.031) მიმდებარედ არსებული ტერიტორიის იჯარით აღებასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
იმისათვის, რომ არქიტექტურის სამსახურმა სრულყოფილად იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა დამატებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დროებითი სამშენებლო ღობის განთავსების სრულყოფილი სქემა („ამწეს“ ღობის მიღმა განთავსებით) და ფოტომონტაჟი საფეხმავლო სავალი ნაწილის უსაფრთხოების გადახურვის გათვალისწინებით და ზომების მითითებით, ზემოაღნიშნულ სქემაზე ასევე უნდა დაიტანოთ ზემოაღნიშნული ღობის განთავსების შემდგომ დარჩენილი საფეხმავლო სავალი ნაწილი მისი ზომების მითითებით. აღნიშნული ასევე შეთანხმებული იქნება ქ. თბილისის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურთან და ქ. თბილისის საპატრულო პოლიციასთან.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.